საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ პარტიის

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 209

კვირა, მაისის 7

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.

ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

იოსებ ელიზბარის ძე ხარაბაძე და შვილები მისი დათიკო, კოწია ქეთიკო, იულია, ქეთო და მარუსია და რძლები მისი; ანნა და მარგალიტა ხარაბაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ მაისის 4-ს, ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე, ხოლო უკანასკნელების საყვარელი და ძვირფასი დედა

მარიამ დიმიტრის-ასული

ხარაბაძისა,

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება დანიშნულია კვირას, მაისის 7-ს, ქალ. ქუთაისში, ინტერნაციონალის ქუჩა № 16

განცხადება.

ჟურნალისტთა საყურადღებოთ

6-დან 15 მაისამდე გახსნილია რეგისტრაცია ხელოვნებისა და განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის წევრებისათვის, რომელთაც სურთ ჩაეწერონ ჟურნალისტთა ცეხ-ბიუროში ხელოვნებისა და განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირის მმართველობასთან. რეგისტრაცია ხდება ყოველ დღე 12—2 საათამდე კავშირის ცენტრალური მმართველობის შენობაში. (მუშათა სასახლე 3—სართული ოთახი № 37).

ამიერკავკასიის რკ. გზის სამმართველო

ამით აუწყებს ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომ მის მიერ მოწყობილია რეგულიარულად მიმოსვლა სამარშრუტო მატარებლების როსტოვში, კიევში, მოსკოვში და ხარკოვში ყოველგვარ ტვირთების აღნიშნულ ადგილებში გადასატანად და გადმოსაზიდად.

გზათა მმართველობა თავის თავზე ღებულობს ტვირთის გადატანას, როგორც ცალკე ვაგონებით, აგრეთვე მთელი ჯგუფი ვაგონებით და მთელი მატარებლებითაც.

პირობების გასაგებათ უნდა მიმართონ ამიერკავკასიის რკ. გზების სამართველოს და ეკონომიურ საქმეთა უფროსს.

ორშაბათს 8 მაისს, საღამოს 6 საათზე ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში შესდგება სხდომა.

მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების

ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმისა

ყველა წევრისა და კანდიდატის დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1) ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის მოღვაწეობის შესახებ. 2) კომუნალური მეურნეობის მოღვაწეობის შესახებ. 3) პრეზიდიუმის მოღვაწეობის შესახებ. 4) მიწათ-მოქმედების განყოფილების შესახებ. 5) მიმდინარე საქმეები.

მდივანი მესხი.

## მოკავშირეთა შორის.

გენუას კონფერენციის თითქმის ერთი თვის მუშაობამ ნათლად გამოააშკარავა ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობდა და არსებობს კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის. ისტორიულად საფრანგეთი და ინგლისი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ; მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმის საფრთხე, მე XIX-ე საუკუნის დასასრულსა და მე-XX ე საუკუნის დასაწყისში ასე მწვავედ წამოიჭრა საერთაშორისო პოლიტიკაში, ეს ორი ქვეყანა დაახლოვა და მათ შორის შეთანხმებული მოქმედებას ჩაუყარა ნიადაგი.

საერთაშორისო ომმა გერმანიის იმპერიალიზმის საკითხი მოსპო თავისთავად და მთელი ბატონობა ევროპის კონტინენტზე მოკავშირეთ ჩაუვარდათ ხელში. ამ დღიდან კონფლიქტი ინგლისსა და საფრანგეთს შორის თანდათან ღრმავდება და დღეს იგი თავის უმწვერვალეს ხარისხს აღწევს. ეს გამწვავებული განწყობილება ანტანტის შინაკში განსაკუთრებით გენუას კონფერენციის პროცესში გამოაშკარავდა.

ამ კონფერენციის ცენტრალური საკითხს წარმოადგენს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის გამომუშავების საქმე. რუსეთთან ურთიერთობის გამომუშავების დროს ერთი მეორეს დაუპირისპირდა ორი პოლიტიკა. ერთი პოლიტიკა ეკუთვნის საფრანგეთს, რომელიც შეურიგებლობის ნიადაგზე სდგას და გაორკეცებული ენერგიით სცდილობს ჩაშალოს გენუას კონფერენცია; მეორე—ეკუთვნის ინგლისს, რომლის მთავარი მიზანი არის მონახოს შემათანხმებელი ხაზი საბჭოთა რუსეთთან და მტკიცე ზავი დაამყაროს ევროპის კონტინენტზე.

ამ ორ პოლიტიკას გარშემო ჯგუფდებიან და თავს იყრიან სხვა პოლიტიკის ერთეულები. ინგლისი და საფრანგეთი არიან კაპიტალისტური ქვეყნები, მოქმედების ცოდნას და შინაარს რომ აძლევენ რუსეთთან დამოკიდებულების საკითხს. სხვა სახელმწიფო აქ მხოლოდ დამატებას წარმოადგენენ და მათი ხელი ერთობ მინიმალურია.

საფრანგეთის პოლიტიკას მხარს უჭერს პოლონეთი და რუმინია. გარდა ამისა მათ მხარეზედ არის ის კერძო კაპიტალისტების ჯგუფები, რომლებმაც რუსეთის რევოლიუციით მოხდენილ კონფისკაციებით დიდი ზარალი ნახეს და დღეს სცდილობენ ანაზღაურონ ეს გენუის კონფერენციის საშუალებით. ინგლისს მხარს უჭერს იტალია. ნეიტრალური სახელმწიფოები ამ ორ პოლიტიკას შორის ქანაობენ და გარკვეული პოლიტიკური ხაზი აქ არ არსებობს. ერთი კი ნათელია: მათი უმეტესი ნაწილი დაინტერესებულია რუსეთის ურთიერთობის აღდგენით და ეკონომიური დამოკიდებულებების განმტკიცებით. სკანდინავიის სახელმწიფოები დღეს უკვე ანხორციელებენ ამ მიზანს. გაზეთების ცნობით, მონაპირე სახელმწიფოები ძლიერ შეშფოთებულნი არიან საფრანგეთის პოლიტიკით და განზრახვა აქვთ გერმანიის მაგალითს მიბაძონ და სეპარატიული ზავით შეეკრან საბჭოთა რუსეთს.

საფრანგეთი დღეს ყველაზე უფრო იმპერიალისტური და ავანტიური პოლიტიკას გამტარებელია ევროპაში. მას არ აძლევს თანამედროვე რუსეთისა და გერმანიის საკითხი, პუანკარე აცხადებს ერთს თავის სიტყვაში: საფრანგეთი განაგრძნობს მონაწილეობის მიღებას კონფერენციაში მხოლოდ იმ პირობით, თუ გერმანიისა და რუსეთისადმი არ იქნება დაშვებული არავითარი დათმობა. რაპალოს ხელშეკრულება—პუანკარეს განმარტებით—წარმოადგენს რეალურ საფრთხეს ევროპისათვის; ხელშეკრულებით გერმანიის ხალხის აქტივობა შეუფერხებლად განვითარდება და, ბოლოს და ბოლოს, გერმანია შესძლებს განახორციელოს თავისთავიანთი რევანშის გეგმები. აგრეთვე ხელშეკრულება აძლიერებს ბოლშევიკებსაც.

ინგლისისათვის დღეს ასეთი შეურიგებელი პოლიტიკის წარმოება ყოვლად მიუღებელი არის. მისი თანამედროვე მდგომარეობა დაჟინებით მოითხოვს მშვიდობიანობის აღდგენას ევროპაში და მოპირდაპირე ძალების შეთანხმებას. ეს გარკვევით და ნათლად იქმნა განმარტებული ლოიდ-ჯორჯის სიტყვებში. ლოიდ ჯორჯი არ ეთანხმება პუანკარეს სიტყვებს და აღნიშნავს რომ „ჩვენი პოლიტიკა ნათელი არის. ჩვენ არა გვაქვს საჩხუბარი რუსეთის ხალხთან. ჩვენ არ გვეშინია რუსეთ გერმანიის შეერთების, მაგრამ ჩვენ მტკიცედ გადავსწყვიტეთ არ დაუშვათ, რომ ევროპა გადაიქცეს ახალი ქიდეთის სარბიელად. „თუ საფრანგეთის სურს—ამბობს ლოიდ-ჯორჯი მეორე ადგილას,—განხეთქილება, დაე მან განაცხადოს ეს პირდაპირ და ნუ ადევნებს კონფერენციას შეუწყვეტელი ინციდენტებით".

ამ გვარად რუსეთის საკითხმა მოკავშირეთა მასის დიდი უთანხმოება დაშალა და ანტანტის დაშლას შეუწყო ხელი. კაპიტალისტური ქვეყნებს შორის არსებული ახალი დამოკიდებულება ნოყიერ ნიადაგს ჰქმნის საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის გასამარჯვებლად. თუ გენუას კონფერენციის საშუალებით შეუძლებელი იქნება საზავო ურთიერთობის განმტკიცება ევროპის ყველა სახელმწიფოებთან, რუსეთს აქვს სხვა გზა დამოკიდებულების აღსადგენად. ეს გზა მათთვის გარეშე იქნება მომართული დამამოუდენიმე ევროპის მპყრობელის დამოუკიდებლად, სეპარატიულად შესძლებს კავშირის გაბმას სხვა ქვეყნებთან. ამისათვის საკმაოდ არის ნიადაგი შექმნილი ევროპაში და ამის მაგალითს იძლევა გერმანიასთან დადებული საზავო პირობები.

## პროფკავშირების მორიგი ამოცანები

(დასასრული)

ამიტომ განსაკუთრებით ჩვენში იძლევა მნიშვნელობა პროფკავშირების ჩარევას სახელმწიფო წარმოებაში აღმოცენებულ კონფლიქტების გამორკვევის დროს. რაღა თქმა უნდა ეს არ იქნება ჩარევა უშუალო ადმინისტრაციის ფუნქციებში.

ამასთანავე შეიძლება, რომ სახელმწიფო უწყებებმა, გადაყვანილმა კომერციულ ნიადაგზე, მეტი მოგების სურვილით გატაცებულებმა, შრომის შეავიწროვონ და მუშათა უკმაყოფილებას ადგილი მისცენ.

პროფკავშირების ვალია ყოველივე საწარმოოდ გამოარკვიონ და იმოქმედონ სათანადო ორგანოებით. პროფკავშირებს, ისე როგორც წარმოებაში დაკავებულ მუშებს, არ უნდა დაავიწყდეთ ორი გარემოება: წარმოების განვითარების აუცილებლობა და რეალური შრომის ქირის მინიმუმის დაწესება. მუშათა კლასს არ უნდა დაავიწყდეს, რომ სოციალისტური სახელმწიფო და მისი მპყრობელი პროლეტარიატი გამოდის როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო ბაზარზე, როგორც მწარმოებელი და მაშასადამე კონკურენტი კერძო კაპიტალისა!

მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაავიწყებინოს ჩვენს სამეურნეო ორგანოებს და პროფკავშირებს წარმოებაში გაბანდულ მუშათა კლასის ინტერესების დაცვა, რადგან ამას მოითხოვს არა მარტო სწორად გაგებული წარმოების მიზნები, არამედ ამას უკარნახებს მშრომელთა სახელმწიფოს თვისი კლასობრივი ბუნებაც.

პროფკავშირები ასეთს შემთხვევებში გამოდიან არა მარტო როგორც შუამავალნი და მომრიგებელნი, კოლექტიური ხელშეკრულებათა ხელმძღვანელნი და მესვეურნი, არამედ ისინი უშუალო მონაწილეობასაც ღებულობენ სხვა და სხვა საწარმოო ერთეულის შემუშავება-გატარებაში სამეურნეო ორგანოებში თვისი წარმომადგენლების წარგზავნის საშუალებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენაა სახელმწიფო წარმოებებში დირექტორ-ადმინისტრატორების არჩევისა არ უნდა ხდებოდეს პროფკავშირების გარეშე. პირიქით, ამ შემთხვევაში პროფკავშირებმა ფაქტიურად გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო სიტყვა ფორმალურად სამეურნეო ორგანოების ხელში იქნება. ამ მხრივ ერთგვარი დამოკიდებულებაც, თუ გნებავთ, ადმინისტრაციული პირისა პროფკავშირისაგან ქმნის მასში სამერო სიფრთხილეს შრომის ინტერესების დაცვის დროს.

ერთი სიტყვით, პროფკავშირების მოქნილი და ახალ მოთხოვნილებებთან შეგუებული მეთოდები გზას უყვეტს უმთავრესად ჩვენი სახელმწიფოებრივი წარმოების მომავალს.

ასეთივე ითქმის შერეული ტიპის წარმოებებზე, სადაც პროფკავშირების კისერზეა რამდენიმედ წარმოების განვითარების მიდგა და სახელმწიფოსგან რაც შეიძლება მეტი სარგებლობის ნახვა.

რაღა თქმა უნდა კერძო წარმოებაც ვერ ინქება განხილული მარტო შრომის ექსპლოატაციის თვალსაზრისით. დღევანდელს—ეკონომიურად სრულიად გაპარტახების ხანაში არ შეგვიძლია უყურადღებოდ არ მივაქციოთ და სასურველად არ ჩავთვალოთ მუშათა კლასისათვის კერძო კაპიტალისა და მისი საწარმოო ძალების განვითარება.

გარდა აღნიშნულს მოღვაწეობის ასპარეზისა, პროფკავშირებს ეხსნება ახალი მუშაობის სფერო, რომელიც მით უმეტეს ძვირფასია და აუცილებელი მაშინ, როცა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკით შექმნილი შერეული ტიპი მეურნეობის განვითარებისა, რომელშიაც არის როგორც სოციალისტური მეურნეობის ჩანასახები, ისე კაპიტალისტური მიკრობებიც.

ეს სფეროა მუშაობის გაწევა მასსებთან დაახლოვებისათვის. მასსები ჩათრეული უნდა იქმნენ საკავშირო მუშაობაში და კავშირებიც უნდა მიუახლოვდნენ მასსებს რაც შეიძლება ელასტიური საკავშირო ორგანოების შექმნით. ამ მხრით საკმაო მუშაობის გაწევა დასჭირდებათ ჩვენს კავშირებს და მის საფაბრიკო ორგანოებს.

აგრეთვე პროფკავშირების დღიური და გადაუდებელი მოთხოვნილებაა ცხოვრებაში გაატარონ თავისუფალი წევრობის პრინციპები. კოლექტიური წევრობის ფორმები მისაღებია ჩვენთვის, თუ კი რაღა თქმა უნდა, იგი იქნება ისეთ პირობებში ჩაყენებული, რომელიც გულისხმობს თვითეული წევრის აქტიურ ნების გამოთქმას კავშირის წევრად ჩაწერისას. ჩვენში წვრილი წარმოებანა და მგონია ჯერ-ჯერობით მუშათა კოლექტიური წევრად ჩაწერა არც ისე გაბატონებული ფორმა იქნება. ინდივიდუალური და უშუალო წევრობა უფრო გავრცელებული ფორმა იქნება ჩვენს კავშირებში, თუ კი უკანასკნელნი შესძლებენ საამისო იმპულსების შექმნას, რაც და აინტერესებს თვითეულ მუშას გახდეს წევრი პროფკავშირისა. ასეთი საშუალებანი კი როგორც პროფკავშირთა, ისე საბჭოთა სახელმწიფოს ხელშია საესებით. პრივილეგიური მდგომარეობის შექმნა გადასახადებზე, ბინებზე, კოლექტიური ხელშეკრულების დროს წევრთათვის სასარგებლო პირობების დამყარება და სხვ. მრავალნი გამხდებიან იმ თავისუფალ მაგრამ მიმზიდველ საშუალებებად, რომელიც გააძლიერებს ჩვენს პროფკავშირებს წევრების ძლიერი არმიით.

შრომის ტარიფიკაცია კვლავ პროფკავშირების ხელში რჩება და მის სათანადო სიმაღლეზე აყვანის მნიშვნელობაზე ლაპარაკიც ზედმეტად მიგვაჩნია. აქ გამოჩნდება გამჭრიახობაც და სიმტკიცეც პროფკავშირებისა.

ტარიფიკაციის ნორმალური და სასურველი ჩარჩოებში მომწყვდევა გულისხმობს მთელი ჩვენი საწარმოვო აპარატების განუწყვეტლივ მუშაობას და, მაშასადამე, ჩვენი მეურნეობის აღორძინებასაც.

ამგვარად პროფკავშირების მორიგი ამოცანები მრავალია და მისგან მოითხოვს დიდს და საპასუხისმგებლო მუშაობის გაწევას.

„დიე ყოველი მუშა მივიდეს მასთან ამ დიდი ტვირთის აწევის მიზნით: დეე ყოველი მოყვარე რევოლიუციისა დაუმოყვრდეს რევოლიუციის ს ძირკველს—საქ. საწარმოვო პროფკავშირებს:

მოუწოდებთ მუშათა კლასს ამ ორკვირეულის სათანადოთ გამოყენებისაკენ.

ფიცხი.

## პოეზიის დღე

საქართველოში ნამდვილი პოეზიის დღე არ გამართულა აქამდის,—ხალხისთვის. იყო ბევრი ღამეები და საათები, მხურვალე პათოსი და უკანასკნელი გრძნობა, დაწერილი ლექსები და იმედიანი საღამოები, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტასთვის, შეიძლება მხოლოდ ჩემთვის, ჩვენთვის, ასისთვის.

პირველი 7 მაისი (8 წლის წინად) გვინდოდა ყოფილიყო ფართო, ტფილისის—ყოველ შემთხვევაში—დღესასწაული. მაგრამ ეს არ მოხდა, არც მოხდებოდა. საქართველოში არიან მწერლები, რომელნიც შეჯგუფდნენ ძველ მწერლობის კავშირში, მათ შორის ბევრი პატივსაცემია, ზოგი ხათრით საყვარელიც, ზო-

გი ახალგაზრდაც, რომელთაც ჯერ კიდევ ეტყობათ სიცოცხლის ნიშნები, მაგრამ დღესასწაული მათ არ ეხერხებათ, რადგან სხვა და სხვა პირობებმა შეხუთა მათი პათოსი, და დიდი უმრავლესობა მათგანი (თითქმის ყველა) პესიმისტური ხალხია, ნოტიო, ხერხემალ-დასუსტებული. მათ უნდოდათ შეკავშირება, მაგრამ ისინი მხოლოდ შეჯგუფდნენ, უმთავრესად ახალი მწერლობის საწინაალმდეგო ინტერესებით:

რაც შეეხება ახალ მწერლობას (იწყება მსოფლიო ომთან ერთად), მისი ენა სხვაგვარია, ძნელი, გაუგებარი; და გასაკვირველი არ არის თუ აქამდის არ მოხდა შეერთება ხალხთან, საერთო პოეზიის დღესასწაულში.

ძველი მწერლობა წელს პოეზიის დღეს მართავს სახელმწიფო თეატრში, მთავარი პუნქტი დღეობის იქნება, თაყვანის ცემა სცენაზე გრიმებში გამოყვანილი რაფიელ ერისთავის, ნინოშვილის, ევდოშვილის და სხვების. (ჩემის ფიქრით თუ გრიმებში გაცოცხლებულ მწერლებზე მიდგა საქმე, რუსთაველი, ილია და აკაკი საკმარისი იქნებოდენ, ყველას შეწუხება არ ღირდა).

ახალი მწერლობა კი ხელოვანთა სასახლეში მართავს მოხსენებების და სიტყვების საღამოს და მეგობრულ ბანკეტს.

მე არ ვიცი კიდევ სხვა ქვეყანა, სადაც არჩეულია პოეზიის ზეიმისთვის განსაკუთრებული დღე. პარიზმა მოიგონა დღე „ყველა ხელოვნების“. 14 ივლისის შემდეგ ეს ყველაზე ცოცხალი დღეა პარიზში. ყველა პოეტები, მხატვრები, არტისტები იმ დღეს ქუჩაში არიან გმირულ და ძველ ტანსაცმელებში, საღამოს კი „ეკოლ დე ბოზარ“-ში იმართება გრანდიოზული მასკარადი და ვახშამი ყველა ხელოვანთათვის. ახალი მწერლობის კავშირს ჰქონდეს საჩუქრად ჩემი პროექტი მსოფლიო პოეზიის დღის.

მე მინდა მივმართო პოლ კლოდელს პარიზში წინადადებით, რომ მან საფრანგეთის სახელით აიღოს თავის თავზე მსოფლიო პოეტების კონგრესის მოწვევა. ამ პოეტების გრანდიოზულ დემონსტრაციაზე და უნდა დაწესდეს ერთი ორდენი პოეტების დღე მსოფლიო პოეზიისთვის. ყველა სახელმწიფოს სატახტოში იმ დღეს იქნება სიტყვის დიდება პირველ პოეტების კონგრესზე შემუშავებულ გეგმით. (პროექტი დაწვრილებით გამოქვეყნდება საქართველოში). შეიძლება ეს დღე იქნეს 7 მაისი, რადგან ჩვენის წინადადებით საქართველოში პირველად დაარსდა დღე პოეზიისთვის. შეიძლება ეს იქნეს დღე შექსპირის დაბადებისა.

მე ვისურვებ, რომ მორიგი კონგრესი პოეტებისა ტფილისშიაც მოხდეს. ევროპა უნდა დარწმუნდეს, რომ ტფილისი არის ამის ღირსი.

ჯერ კი ჩუმათ, დამალულ ადგილებით, მეგობრულ სუფრაზე ვსთქვათ საყვარელი სიტყვა პოეზიის დიდებისათვის და გვჯეროდეს, რომ პოეზია მართალია და პოეტი ბედნიერი.*)

პაოლო იაშვილი.

6 მაისი.

## საქართველოს დამშეულთათვის

დღეს, 7 და ხვალ 8 მაისს საქართველოს დამშეულთა დასახმარე მთავარი კომიტეტი აწყობს სასახლის ბაღში გრანდიოზულ საღამოს საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ. სეირნობა დღისით მოწყობილი იქნება ბავშვებისათვის და საღამოს მოზრდილთათვის. დღისის სეირნობის დროს ბავშვებისათვის მოწყობილი იქნება სხვა და სხვა სათამაშოები ი. მ. სუნდუკიანცისა და სხვა განთქმული ხელმძღვანელთა მეთაურობით. სეირნობის დროს ღია სცენაზე მოწყობილი იქნება მრავალი სხვა და სხვა გასართობები: ბალეტი მ. ი. მორდკინის ხელმძღვანელობით სპრუი ლისიციანის ბალეტის სტუდიისა, დამკვრელთა ხორო, ლოტერეა, ალეგრი და სხვა.

ორთავე სეირნობის დამახასიათებელია ის, რომ დამშეული არ იქნება არც ფულების შეგროვება და არც აუქციონი.

გადასახადი ბაღში შესასვლელად და ყველა გასართობებით სარგებლობისათვის: ბავშვებისათვის ათი ათასი მანეთი, მოზრდილთათვის ოცდა ხუთი ათასი მანეთი.

სეირნობის პროგრამა მრავალფეროვანი და ძალიან საინტერესოა და ყველა ისა ვინც დაისწრება და გადაიხდის ისეთ უმნიშვნელო გადასახადს, როგორც 10 და 25 ათასი მანეთს ამით ის გააკეთებს კეთილ საქმეს დამშეულთა დასახმარებლათ და ამავე დროს მიიღებს საინტერესო და მრავალფეროვან გართობას.

*) ვამლევთ საშუალებას გამოსთქვას თავის აზრი.

რედ.

# გენუას კონფერენციის გარშემო

### მოკავშირეთა საპასუხო მემორანდუმი.

**სანტა მარგარიტა.** 2 მაისი. გაზეთების ცნობით, მოკავშირეთა რუსეთის საპასუხო მემორანდუმში, რამოდენიმეჯერ არის ხაზგასმული ფინანსიური დახმარების აუცილებლობა და ჩამოთვლილია თუ თვითეულ ევროპის სახელმწიფოს რამდენი და როგორ ფორმაში შეუძლია მისცეს სესხი რუსეთს. მემორანდუმში ჩამოთვლილია ათეული და ასეული მილიონი ფრანკი, გირვანქა სტერ. და ლირა, ათასი ორთქლ-მავალები, ვაგონები და ავტომობილები და აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს მიეცემა რუსეთს მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთი მოახერხებს აღადგინოს ბურჟუაზიული ევროპას ნდობა.

საჭირო ნდეთი ამას ჭუმატებს ყოფილ მესაკუთრეთათვის ზარალის ანაზღაურება მოთხოვნილებას. ამ რიგად მემორანდუმი გვაგონებს იმ მელიის რჩევას, რომელიც ურჩევდა ყვავს პირის გაღებას, რათა გავარდნოდა მსხვილი ანდუსტრია.

**სანტა მარგარიტა,** 3,V ბელგიელებს უკავიათ უკიდურესი პოზიცია რუსეთის მოთხოვნილებების საკითხში. რადგანაც ბელგიელები უმცირესობაში დარჩნენ, მათ მიმართეს პუანკარეს დახმარებას, რომელმაც თითქოს მოითხოვა მემორანდუმის გადაცემის გადადება. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ევროპას კაპიტალი განიცდის კრიზისს და თუ რუსეთმა ვერ შესძლო მისი მიზიდვა, იგი წავა სამხრეთ ამერიკაში. დიდი ბრიტანეთი ჯერ მეტამეჯერ სცდილობს შეუთანხმდეს რუსეთს პირველად პრინცების კუნძულზე, შემდეგ წითელი არმიის ვარშავაზე შეტევის დროს და ეხლა გენუაში.

ირკვევა, რომ მემორანდუმში არ არის მოხსენებული ევროპის სახელმწიფოთაგან რუსეთისათვის პირდაპირ სესხის მიცემა.

დღეს რუსეთის დელეგაციას გადასცეს მოკავშირეთა მემორანდუმი რუსეთის საკითხის შესახებ. რუსეთის დელეგაციამ შეუდგა თავისი პასუხის შემუშავებას

## რუსეთის პრობლემა

### მოკავშირეთა კონტრ-მემორანდუმის შესახებ.

**გენუა.** 3 მაისს მოკავშირეთა კონტრ-მემორანდუმი გადასცა რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელს კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტამ. კონფერენციის თავმჯდომარეს ეს მემორანდუმი გადაეცა 2 მაისს, საღამოს, შანცერის მიერ ხელმოწერილი შემდეგი ბარათით: „მაქვს პატივი გადმოგიგზავნოთ თქვენ ამასთან თანდართული დოკუმენტი. საჭიროდ მიმაჩნია დავუმატო რომ საფრანგეთის დელეგაციამ თავი შეიკავა ხსენებულ დოკუმენტის საბოლოო დასტურის საკითხში სანამ არ მიიღებს სათანადო ინსტრუქციებს თავის მთავრობისაგან“.

**რუსეთის აღდგენის აუცილებლობა**

გენუა 3 მაისი მოკავშირეთა კონტრ-მემორანდუმის საერთო ნაწილში აღნიშნულია რუსეთის აღდგენის აუცილებლობა, რათა შესაძლებელი გახდეს კონტინენტზე მშვიდობიანობის ჩამოგდება. ამასთან ერთად მემორანდუმში ხაზგასმულია ერთაშორის დამოკიდებულების აღდგენის სურვილი და აღნიშნულია დიდმნიშვნელობა რუსეთისა, რომელსაც აქვს თავის განკარგულებაში ბუნებრივი სიმდიდრენი, რაიც წარმოადგენს დიდ ეკონომიურ ფაქტორს ევროპასათვის. მემორანდუმი შესდგება 13 მუხლისაგან, რომლებიც ჩამოყალიბებულია ის მთავარი პრინციპები, რაც აძლევენ საბჭოთა სახელმწიფოთა შორის სასურველი ურთიერთობის აღდგენისათვის.

**რუსეთის ცნობის შესახებ.**

**ბერლინი** 5 მაისი. ინგლისის ტრედ-უნიონებმა და მუშათა პარტიამ, 6 მილიონი ბრიტანელი მუშების სახელით, დეპეშით აცნობა ლლოიდ-ჯორჯს, რომ ისინი მოითხოვენ საბჭოთა მთავრობის ცნობას და რუსეთ გერმანიის მიღებას ერთა ლიგაში.

**ლოიდ ჯორჯი და შანცერი**

პარიზი 5 მაისი, გაზეთი „ტან“-ი იუწყება: საბჭოთა დელეგაცია ამ უახლოეს ხანში გასცემს პასუხს მოკავშირეთა მემორანდუმზე, ლოიდ ჯორჯი და შანცერი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში თუ მემორანდუმი მიღებული იქნა შესაძლებელი [illegible] ცნობის საკითხის [illegible]

**ჩიჩერინის პროტესტი.**

**ნეაპოლი** 5 მაისი. ჩიჩერინმა პროტესტი განაცხადა შრომის კომისიაში რუსეთის დელეგატების არ მიწვევის შესახებ.

## კონფერენციის პლენარული სხდომა

### ფაქტას სიტყვა

**გენუა** 3 მაისი. (გადმოცემულია დაგვიანებით). 3 მაისს დილის 10 საათზე მიპატიჟებულ სტუმრების და მრავალი ხალხის თანდასწრებით, გაიხსნა კონფერენციის მეორე პლენარული სხდომა. თავმჯდომარე ფაქტამ გახსნა კრება შესავალი სიტყვით, რომელშიაც საერთოდ დაახასიათა ტეხნიკური კომისიების მუშაობა და აღნიშნა ის დაბრკოლებანი, რომელიც გადალახულ იქნა განსახილველი პრობლემების გადაწყვეტის დროს. ფაქტამ დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგ გვარად:

— ამ რიგად კონფერენცია—ასრულებს თავის დანიშნულებას, რომელიც მდგომარეობს საერთაშორისო ხასიათის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში და ისეთი მდგომარეობის შექმნაში, როდესაც ყველა ერების ინტერესები განხილული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების მიხედვით. ეს კონფერენცია ასრულებს ამ მიზანს და ამიტომაც ყველას ყურადღება მისკენ არის მიპყრობილი იგი იწვევს ნდობასა და იმედებს, რომელიც დღითიდღე ძლიერდება. ჩვენ ყოველ მხრივ უნდა გამოვიყენოთ ეს ნდობა. ჩვენი კრება უნდა აქეზებდეს და მაგალითს აძლევდეს ყველა ერებს. ევროპის აღდგენისათვის წარმოებული მუშაობა, რომელსაც ეხლა აწარმოებს კონფერენცია, მით უფრო დაჩქარებით და სათანადოთ იქნება დამთავრებული, რაც უფრო მეტი მშვიდობიანობა და თანხმობა იქნება აქ გამეფებული, რაც უფრო აშკარად გამოვიჩენთ სურვილს გადავლახოთ ყველა ის აუცილებელი დაბრკოლებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ჩვენ წინაშე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებთან. დღევანდლამდე მიღწეული შედეგები ცხადი და ნათელი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს საერთო მისწრაფებების და ნებაყოფლობითი დისციპლინის პირობებში. ჩვენ შეგვიძლია მშვიდათ და მტკიცეთ შევუდგეთ ჩვენ მუშაობას.

# სატირიკონი

## (გაზეთი გაზეთში)

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა.

№ 7. № 7.

**ხელის მოწერა.**

„სატირიკონზედ“ არ მიიღება, ვინაიდან რედაქციის მეცადინეობით ტეხნიკა იმდენად განვითარებულია, რომ ჩვენი გამოცემა თავის თავად მიუვა „ტრიბუნის“ ხელმომწერლებს.

**თანამშრომელთა საყურადღებოდ.**

ყოველი მასალა უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის“ მისამართით და წარწერით: „სატირიკონისათვის“.

### მჭადის სარგებლობა

(შემდეგი *)

..„სიმინდის (მჭადის) ნოყიერი ნივთიერებანი ნაწილობრივ ტვინის ზედითა გარსს ერთვის და აჯანსაღებს“...

(სახ. უნივერსიტეტის ასისტენტის გამოკვლევიდან).

მეორე პოეტი ტ. ტაბიძე იმავ გენის ზეგავლენით არის გრძნეული.

შემოქმედების უკიდურეს წერტილზე, როდესაც ირღვევა პირველყოფილი მისი მეობა, როდესაც „დაჭვირთული აქლემი“ (როგორც „ორპირის“ ყვერით დაყანთრული ნივზი) იქცევა ლომათ და საბოლოოდ კი უდარდელ ბაჭყვპერეზულ პირტიტველ ცისფერ თვალება „ბავშვათ“, — ტიკტიკ-ტყუპინებს არხილულ სტრიქონებით ტყვე მქნელ თვის ლექსებს, წარსულ ქალდეას შესახებ. „დაატრიალებს ამ ქვეყანას ჩემი არია ძვირფასი მამა, გიჟი მღვდელი და მალარია“.

აი! ექზემპლიარი შემოქმედების ნიმუში, რომლის ფასი ჩვენ არ მოგვეპოვება ქართულ პოეზიაში. ეს არის აგრეთვე, საუკეთესო მაგალითი დასამტკიცებლად იმ უკვდავ დებულებისა, რომელიც ქართულში ერთ-ერთმა ასისტენტმა წამოაყენა. ტაბიძეც ხომ იმერელია! ეს გვარი შეგუებულ იმერეთის ტიპიური გვარია. და აბა მჭადი რა ახალი ხილი უნდა ყოფილიყო მისთვის ?!

აქაც ფიზიოლოგიური მოსაზრება გამართლებულია.; მაგრამ, უნდა ითქვას, ფიზიოლოგიური მოვლენაა და ფიზიოლოგიური მოვლენაც! საქმე ის არი, თუ ვის როგორ ესმის ეს მოვლენა! მაგალითად. უნივერსიტეტის ერთერთ სალიტერატურო კრებაზე ვიღაც მსმენელი ამბობდა რეფერატში ტ. ტაბიძის: „მღვდელი და მალარიის“ და სხვა ლექსების შესახებ: „აი, ნამდვილი განცდა მალარიისა და მისი გავლენა ტვინზე. ის ხომ შვილია ქაობიან იმერეთის ორპირის, სადაც ათი ათასი ბაყაყი მოყვირის. აი, წმინდა პატოლოგიური მოვლენა, ფიზიოლოგიურ თვალსაზრისით ახსნილი“-ო და სხვა.., განიძახოდა აღნიშნული ახალგაზრდა. ამ შემთხვევაში ეს იყო წაქეზება გამოწვეული ასისტენტის გამოკვლევით: ამ ყმაწვილსაც სურდა მომავალში დაეწერა გამოკვლევა: „მალარიის გავლენა ტვინზე; მოლღუნება შემეცნებითი უნარის; ატროფია“...

მაგრამ აქ რომ მხოლოდა სიტყვების რახა-რუხია და სხვა არაფერი და რომ ის ამ გამოკვლევაში, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებს, დამარცხდება—ეს იქიდანა სჩანს, რომ „მალარია“ არც საჭმელი და არც სასმელი რამ არის, ტაბიძეს რომ ის გადაეყლაპა ან შეესვა და მას მოეხდინა რაიმე გავლენა მის გონებრივ აპარატზე,—და მაშასადამე ცხადია, თუ სად უშვებს მთავარ შეცდომას მამლაყინწა ყმაწ: მალარია აქ არაფერ შუაშია! არამედ მჭადი, რომლის შეჭმა შეიძლება და რომელიც ესოდენ დიდ გავლენას ახდენს ტვინის ზრდისას მის ზედითა გარსზე.

ფიზიოლოგიური მომენტიც სწორედ ეს არის. ამრიგად საბოლოოდ ირკვევა შემდეგი. აქაც ისევე, როგორც ყველგან, ჩვენ მიერ აღნიშნულ პირთა გენიალობა გამოწვეულია მჭადის პოხიერ შემადგენელ ნაწილებისაგან. საბაბი ტაბიძის გენიალობისა მჭადის ჭამაში, იმისი მჭადით აღზრდაში უნდა ვეძიოთ. ტაბიძეს რომ სჭამთა შორის მჭადი უყვარდა და ეხლაც უყვარს—უტყუარი ფაქტია. ეს მე გადმომცა მისმა მეგობარმა როდესაც მჭადზე და იმის გავლენის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი.

—

ყველაზე უფრო საგულისხმიერო და ძვირფასი მაგალითი მჭადის პოხიერ ნივთიერებათა ტვინს გარზე გავლენისათვის, მათი, ასე ვსთქვათ სინთეთიური ფიზიოლოგიური შედეგები ბ ნ გომართელის პიროვნებაში ცხაურებულა უფრორე.. აღნიშნული პოხიერებათა გამონაჭი მისი განვითარებულა იმდენად, რომ გამოსცვალს პოეტობას არა მარტო მედიცინაში, არამედ სხვა და სხვა დარგშიაც ადამიანის გონების სამოქმედო არესი. გომართელი ისეთივე სწორუპოვარი ექიმია, როგორიც: კრიტიკოსი, ლექტორი, ტრიბუნი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი; ის დამფუძნებელი კრების წევრიც არის და მრავალი საზოგადოებათა წევრიც.. მაგრამ ის ხომ იმერელია და მისი გონებრივი აპარატის ზრდა დაიწყო ქუთაისში, სადაც დაილოცვილ წარსულ „ზელიონი ბაზრის“ ნახევ ყვერულისა და ინდოურის საცეხში და მოხრაკულში არა ერთი და ორი საინი ღომი და მჭადი დამტვრალა მისი მეოხებით.

—

გუშინ ჩემთან მოვიდა ახალ მიმდინარეობის ახალგაზრდა პოეტი. თვალები ნაღვერდლებათ ენთებოდნენ... ნაწარმოები, რომელსაც მიკითხავდა, იყო ჯერ არ სმენილი და ნახული შეჭრა ადამიანის სულსა და გულის სიღრმეში... მანერა წერის არის: მიუწვდომელის კანების წინ პირქვემხობილთ ხანგრძლივი ქვითინი და ხან აქირიზხალებული გაქნება უშრეტი ნების. და მიხატავდა ის, და მიკითხავდა არტისტიულ რხევით სურათებს... მიკვირდა; მიხაროდა: ასეთი ნიჭით ალსავსე ახალგაზრდა მწერალი ემატება მშობლიურ პარნასს! როგორ წარმოიშვა ასეთი დიდი მწერალი? ვფიქრობდი და ამ დროს დამთავრდა წარმტაცი ნაწარმოების კითხვა. ჭანც მილაუდი დაჯდა ჩემს წინ, თავი ასწია და სახეში მომამთქნარა. ცივს ოთახში ჰაერი შეირხა და ნაზად გაიბნა სივრცეში მჭადის სუნი. გაუგებარი კითხვა მაშინვე გავიგე, მივხვდი თუ როგორ წარმოიშვა ასეთი „შტურმ უნდ დრანგ“.

ქართ. უნივერსიტეტის მსმენელი

(დასასრული იქნება)

### გრიშაშვილს.

(ნობათი ლაილაით.)

მახსოვს, როგორ გკიცხავდა კრიტიკოსთა გუნდი;
არა ერთხელ დაგადევს უმიზნობის ხუნდი,
რადგან ქალი და კოცნა გქონდა მუზის მიზნადა;
მისთვის პოეზიაში შენ მოგნათლეს ხიზნადა.
სტილი შენი ლექსისა იცნეს უტყუარადა;
ალიარეს დიდ განძად—ახალი გზის კარადა
და მას შემდეგ მგოსანი შენ გიწოდეს დიდ ამბით.
თუმცა ახლაც შევრია დიდ—კაცების ნიღაბით,
რომ არ მოსწონთ მგოსნობა შენი (ვიცი, განგება);
ბდვილია იმათი ამ სფეროში გაგება.
ისინი ჩვენს მწერლობას შემოეჭრენ შურითა;
რადგაც მიმართულება მათ თრიეს ყურითა
და თვის თავებს უწოდეს მგოსანთ მუმბერაზები,
თუმც აქამდის ბნელია ჩვენთვის მათი აზრები.
ერთმა თავი სოფოკლეს შეადარა ადვილად,
(ვითომ მასთან მჯდარიყო გუშინ სადმე სადილად).
მეორემ კი ოსკარსა თავის რაღაც პროფილით,
მესამე კი ბუდასა (ჩვენც ვართ მუდამ ყოფილი);
პოეზიას უწოდეს თავის თავის ლაქია.
(ღმერთო ჩემო, ცხოვრება რა უშნო და ტლანქია!)
ხალხი და საქართველო მათთვის არის მიქარვა,
ალბათ მისთვის მიიღო ვინ ოქრო და ვინ ქარვა.
მათ ნაწერს ვერ გაიგებ, თუნდაც ბევრი იცოდე.
შინაარსს ვერ მიხვდები—ცეცხლივით რომ იწოდე,
მათი მუზის ლტოლვაა ქალის ზორტი, თუ რუში...
აშორდია... ბუდები... რაღაც თესლი... ხურუში..
ათასგვარი სიმყრალე და სხვა დავიდარაბა,
და მათ უნდათ შექმნან პოეზიის დარაბა!..
მაგრამ ვნახოთ! სანამდის სდუმს კრიტიკის ბაგენი,
ჯერ ვინც ყვირის, მისია რომ და კართ ვგენი.

დონ-ბაზილიო.

—

### სტუდენტთა კოოპერატივი „ჩვენი ოჯახი“

სტუდენტთა მდგომარეობა ამ ბოლო დროს არსებითად გამოკეთდა და ამაში

*) იხ. „სატირიკონი“ № 6.

### ფინანსიური პრობლემა

რომი. თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ, კონფერენცია შეუდგა 7 კომისიის მიერ წამოყენებულ მოხსენების განხილვას. სიტყვა მიეცა ინგლისის დელეგატს სერ ევენს, რომელიც მომხსენებელი იყო იმ კომისიის, რომელიც მუშაობდა ფულის ტრიალისა, ცენტრალური საემისიო ბანკებისა, გაცვლა-გამოცვლის და საზოგადოებრივი და კერძო კრედიტის საკითხების შესახებ. მომხსენებელმა დაასურათა მთელი მნიშვნელობა გასარჩევი საკითხებისა, რომელიც მას აგონებს იუსტინიანის მიერ წარმოებულ მუშაობას და უწოდა იტალიას „უფლების საფუძვლების შემქმნელი ქვეყანა“. ევენსმა ამას დაუმატა, რომ კომისიის წინადადებებს სრულებით არ აქვს იმ წამალის ხასიათი, რომელსაც შეუძლია ყველა სენიდან განკურნოს თანამედროვე ევროპა. მაგრამ ეს წინადადებები უტყუარი ზომებია განკურნებისათვის მიღებული. ევენსი მოითხოვდა ფულის ტრიალის სტაბილიზაციას, ოქროს ფულის ტრიალის გაუმჯობესებას და აღნიშნა საემისიო ბანკების საერთაშორისო კონსორციუმის დაწესების აუცილებლობას, რაკი ხელს შეუწყობს ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ევენსი სთხოვდა კონფერენციას მიელო კომისიის წინადადებანი და ამასთან ერთად განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული მოწვევა აქვს გაგზავნილი, რადგან ამერიკა, მსოფლიოში არსებულ ოქროს მარაგის თითქმის ნახევარის მესაკუთრეა.

### კ ა მ ა თ ი.

საერთო კამათის გახსნის შემდეგ სიტყვა მიეცა საფრანგეთის დელეგატს პიკარს, რომელმაც მხარი დაუჭირა კომისიის დადგენილებათა მიღების საკითხს. პიკარმა მოიყვანა მაგალითი ახსნილი შენობისა, რომლის შენებასაც იწყებენ საფუძვლის ჩაყრიდან და აღნიშნა, რომ კომისიის დადგენილებანი საუკეთესო საფუძველს წარმოადგენენ მით უმეტეს, რომ კომისია მეგობრულ ხელს უწვდის მათ, ვისაც სჭირდება ეს დახმარება.

### შანცერის სიტყვა.

შემდეგ ამისა სიტყვა წარმოსთქვა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა, რომელმაც იტალიის დელეგაციის სახელით ფრანგულ ენაზე ილაპარაკა, შანცერის ძლიერი სიტყვა, წარმოთქმული ფრანგულ ენაზე. დიდი ყურადღებით იქმნა მოსმენილი და სიტყვის დამთავრების შემდეგ ორატორს ოვაციები გაუმართეს. შანცერმა აღნიშნა, რომ ფინანსიური კომისიის დადგენილები მუშაობათ უნდა ჩაითვალოს, ასე ვსთქვათ, შესავალ ნაწილად იმ ყოველ მხრივ დიდი მუშაობისა, რომელიც კონფერენციამ უნდა შეასრულოს. შანცერმა ხელმეორედ მოაგონა დამსწრეთ სერიოზულობა და დიდი მნიშვნელობა იმ ამოცანებისა, რომელიც კონფერენციას აქვს დასახული. მთელი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია კონფერენციისაკენ, რადგან მისგან მოელიან ფინანსიური პრობლემის გადაწყვეტას. შანცერმა დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგი სიტყვებით:—ნება მიბოძეთ, ბატონებო, ჩემი სიტყვა დავასრულო ოპტიმისტურად. ჩვენ აქ, გენუაში, შევიკრიბეთ სულ რაღაც რამოდენიმე კვირის წინ, მაგრამ უკვე ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვიხილავდით ძლიერ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებს. ჩვენ შევძელით ძალიან დიდი პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლების გადალახვა. ყველა ჩვენთაგანი წავიდა დათმობაზე, რომ დაგვეახლოებია ერთმანეთისათვის თვითეულის თვალსაზრისი. ჩვენ ვმუშაობდით და ვიმუშავებთ ერთაშორის თანხმობისა და სოლიდარობის საფუძვლებზე. მე ღრმად და მტკიცეთ დარწმუნებული ვარ ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებაში, რომელიც ჩაყრის საფუძველს ევროპის ცხოვრების ახალი პერიოდისას, ხალხთაშორის აქტიური თანამშრომლობისა და მთელი კაცობრიობის პროგრესის პერიოდისას.

### ნეიტრალურ სახელმწიფოთა დელეგატების სიტყვა.

გოლანდიის წარმომადგენელმა კეერმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გოლანდიაში წარმოებული იქნა დიდათ მნიშვნელოვანი მუშაობა იმ პრობლემის შესასწავლად, რომელიც ეხლა განიხილა საფინანსო კომისიამ. კეერმა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო ის დადგენილებანი, რომელიც მიღო საფინანსო კომისიამ და გამოსთქვა სურვილი იმისა, რომ კონფერენციამ განამტკიცოს ერთა შორის ნდობა და დაუყენოს ევროპა აღორძინების გზაზე.

შვეიცარიის დელეგატმა განუცხადა, რომ შვეიცარიის დელეგატები სავსებით უერთდებიან საფინანსო კომისიის წინადადებას. შვეიცარიის სახელით ორატორმა აღნიშნა აუცილებლობა ფულის ბაზრის კატასტროფიული მერყეობის მოსპობისა.

### ჩიჩერინის სიტყვა

რუსეთის დელეგაციის სახელით ილაპარაკა ჩიჩერინმა, რომელმაც განაცხადა, რომ საფინანსო კომისიის წინადადების მიღება წარმოადგენს იმ პირველ აქტს, რომლითაც რუსეთი ხელახლავ, 4 წლის იზოლაციის შემდეგ, კვლავ შედის ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში. დელეგაციის სახელით ჩიჩერინმა ზოგიერთი შენიშვნები შეიტანა საფინანსო კომისიის წინადადებებში. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ეს შენიშვნები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რუსეთს არა აქვს მეტი მასალები აღძრულ საკითხების შესახებ. ჩიჩერინმა ამას დაუმატა ისიც, რომ რუსეთის დელეგაცია იტოვებს თავისუფალი მოქმედების უფლებას განსაკუთრებით იმ წინადადებათა შესახებ, რომელნიც მოითხოვენ ერთა ლიგის ჩარევას, რომლის წევრიც რუსეთი არ არის. დასასრულ ჩიჩერინი მიესალმა იმ სიტყვებს, რომელიც წარმოსთქვა იტალიის დელეგატმა მშვიდობიანობისა და აღორძინების პოლიტიკის შესახებ და სხვათა შორის ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამისათვის აუცილებლად საჭიროა საერთო განიარაღება.

### რატენაუს სიტყვა

ჩიჩერინის შემდეგ გერმანიის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა რატენაუმ, რომელმაც გამოსთქვა კმაყოფილება კომისიის მიერ წამოყენებული წინადადების შესახებ, რატენაუმ მოიყვანა ზოგიერთი ამ წინადადებათაგანი და აღნიშნა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე 10 მილიონი უმუშევარია. შესყიდვითი საშვალების ნაკლებობა არის მთავარი მიზეზი სამრეწველო ევროპის კრიზისისა. რატენაუმ დაამთავრა თავისი სიტყვა შემდეგი განცხადებით: ქვეყანა მოელის გენუიდან არა მარტო თეორიულ დასაბუთებათ არამედ პრაქტიკულ შედეგებსაც იგი მოელის ნამდვილი თანამშრომლობის სტიმულს.

### დადგენილება მიღებულია.

თავმჯდომარე ფაქტამ, კამათის შემდეგ, განაცხადა, ვინაიდან არავინ არ ითხოვს სიტყვას საფინანსო კომისიის წინადადების ტექსტი უნდა ჩაითვალოს საზოგადოებით მიღებულად.

### ეკონომიის აუცილებლობა.

იტალიის ფინანსთა მინისტრმა ბერტონიმ მოითხოვა სიტყვა წინადადების მე 7 მუხლის შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობას და შედგენას. ბერტონიმ აღნიშნა აუცილებლობა იმისა, რომ ყველა სახელმწიფომ მიიღოს სასტიკ ეკონომიის პრინციპი.

### სატრანსპორტო პრობლემა

საფინანსო პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ, კონფერენცია შეუდგა სატრანსპორტო პრობლემის განხილვას. სატრანსპორტო კომისიის წინადადებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბელგიის დელეგატი ტესპარი, რომელმაც განაცხადა, რომ კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა ლონდონის ექსპერტთა მოხსენების მე 62 მუხლით.

ბარერმა საფრანგეთის სახელით განაცხადა, რომ სავსებით ღებულობს კომისიის ყველა წინადადებას.

### ლოიდ ჯორჯის გამგზავრება

ნაუენი, 8 მაისი, იტყობინებიან, რომ ლოიდ ჯორჯი ორი დღით გაემგზავრება გენუიდან.

### თემთა პალატაში

ბერლინი, 3 მაისი, ჩემბერლენმა თემთა პალატის სხდომაზე განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი უარს ამბობს საფრანგეთის მიერ რურის მაღაროების ექსპლოატაციაში მონაწილეობის მიღებაზე, ჩემბერლენმა მოიყვანა ლოიდ ჯორჯის სიტყვა, რომ გერმანიას თუ რურს წაართმევენ, ეს მიიყვანს მას უკიდურეს ეკონომიურ კრიზისამდე, ვინაიდან რურის მაღაროები გერმანიის ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

# უცხოეთი

### იძულებითი სესხი

ნაუენი. 4 მაისი, ამ დღეებში გერმანიის მთავრობა გამოაქვეყნებს კანონს იძულებითი სესხის შესახებ.

### პოლონეთის მდგომარეობა

ბორდო, 4 მაისი, გაზ. „მანჩესტერ გარდიენი“ იუწყება, რომ პოლონეთს დასჭირდება დიდ დათმობაზე წავიდეს თავის აღმოსავლეთ საზღვრებში.

### პოლ დეშანელის სიკვდილი

ბორდო 4 მაისი, პარიზში გარდაიცვალა საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი პოლ-დეშ ნელი (68 წლის.)

### ვატიკანი რუსეთის შესახებ.

ბორდო 4 მაისი. არქიეპისკოპოსმა დეუსმა განაცხადა, რომ გავრცელებული ხმები ვატიკანისა და საბჭოთა მთავრობის შორის კონკორდატის შესახებ, არ შეეფერება სინამდვილეს. ასეთი პროექტი წარდგენილ იქნა კათოლიკეთა არქიეპისკოპოზისაგან; მაგრამ იგი უარყო ჩიჩერინმა, საქმე [illegible] რომ კათოლიკეთა [illegible] და პაპმა გადასწყვიტოს [illegible] აღმოუჩინონ დახმარება კათოლიკეთა ეკლესიას რუსეთში.

### მახნოს დაპატიმრება.

პარიზი 4 მაისი. გაზეთი „ტანი“ იტყობინება: მახნო, რომელიც გადავიდა პოლონეთის საზღვარს, დაპატიმრებულ იქნა ლვოვის ახლოს და გაგზავნილი უსტრი-პოლოვას ბანაკში.

# რუსეთი

### ფასიანი სკოლა

მოსკოვი. მაისის 5. საგუბერნიო სოციალი უზრუნველყოფის განყოფილებათა სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ამხ. ლუნაჩარსკიმ განაცხადა: „ჩვენ იძულებული ვხდებით აღვადგინოთ სკოლების საერობო და ქალაქის თვითმართველობათა ხაჯზე შენახვა, რადგანაც თვითდაბეგვრის საშუალებების სკოლის არსებობა არ შეუძლია“. სკოლების განსაზღვრულ კატეგორიაში შემოღებული იქნება სწავლის ფულის გადასახადი სახალხო განათლების კომისარიატი ფიქრობს, რომ სხვლებთ სკოლები და აგრეთვე მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი განთავისუფლებულ უნდა იქნენ სწავლის ფულის გადასახადისაგან. კონფერენცია შეიმუშავებს სათანადო კანონ-პროექტებს.

# პარტიაში

დღეს, მაისის 7-ს, პარტიულ კლუბში დილის 10 საათზე (ლორისმელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია ახალგაზრდათა დროებითი კავშირის სხდომა, სასწრაფო და გადაუდებელი საკითხების განსახილველათ. წევრებს ევალებათ აუცილებლათ გამოცხადდნენ აღნიშნულ დროისათვის.

დრ. კავშირის პრეზიდიუმი.

---

კი დიდი დამსახურება მიუძღვის სტუდენტთა კოოპერატივს. აქ სადნებს ერთი გადაწყვეტილი ფასი არ აქვს, არამედ მის ფასს საზღვრავს მოხმარებელი გარეგანი შეხედულება, ნოქარი იმდენად გაწვრთნილი, რომ თუ მოზრდილ ლიპიანი მყიდველი შეხვდა, ნახევარ ფასად აძლევს, ვინაიდან ის კოოპერატივის წევრი იქნება, ე. ი. სტუდენტი.

მაგრამ ჯერ-ჯერობით, პროვინციიდან ჩამოსულ სტუდენტობას არა აქვს ლიპი და კოოპერატივის წევრად კი ირიცხება, რასაც შეცდომაში შეყავს ნოქარი; ამიტომ „ჩვენი ოჯახის“ გამგეობას შეუძენია 500 ტომარა დაბრაწული თხილი, 1000 ფუთი თურაშაული და ამილახური, ფარცხალის და ქარელის ტყეში დაბერტყული წაბლი, 50 „სოროკო“ბოჩკა სარაჯიშვილი ორნახადი ჭაჭის არაყი, 100 გოდორა ხარაზის ძაფის სანთელი (ველაპტრების ჩამოსაქნელ დ) და სხვა ამგვარი პირველ საჭიროების ნივთები, რომლებიც მუქთად ეძლევა მარტო ლიპო სტუდენტებს „ჩვენი ოჯახის“ წევრებს, ლიპების დასაზრდელად.

ხოლო ლიპიანებისათვის შეძენილია ჩოხა ახალოხი და ვერცხლის ქამრები.

რადგანაც გამგეობაში შოვინისტები არიან, და შიშობენ ქართველი სტუდენტი ეჭვარ სომეხში არ შერიოს, გადაწყვეტილი აქვთ დაურიგონ ახალი სავრო წიგნაკები და ისიც მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობას, რაშიაც თურმე უნდა ეწეროს: ყველა ცუდი და ყველა ძვირად, ვინაიდან ამას მოითხოვს, ჩვენი ოჯახის გამგეობის წევრთა ინტერესები.

გამხდარმა და გაძვალტყავებულმა სტუდენტობამ სული მოითქვა და ადამიანური ფერი მიეცა.

მომავლისათვის მიიღება ორი ვაგონი მარწყვი და „მაისა“ ბალი ქუთაისიდან.

გორის მაზრაში დაკვეთილია „აგულაბი“, ხიდის თავის ატამი, ქერამი და და ატენური ყურძენი რისთვისაც გაცემულია სათანადო ბეები.

ამ რიგად მომავლის პერსპექტივა დიდი და სანუგეშო, ამხ სტუდენტობას ვინც ჩაწერილი არ არის, ურჩევ ჩაეწერონ დაუყოვნებლივ, ჩაწერის დროს საჭიროა ორი ლიპიანის რეკომენდაცია.

უსურვოთ „ჩვენ ოჯახს“, კოოპერატივის გამგეობის წევრების ოჯახების გაძლიერება და აყვავება, რასაც აქამდისაც პირნათლად ასრულებდა.

განთარი.

---

### შარადა.

მორდკინის ხელობა არის
ძრიელ უყვართ ახალგაზრდებს.
გზრიალობენ, ტრიალობენ,
აყოლებენ გულის დარდებს.
ხუთი ასოდან შესდგება.
თუ უარყოფთ მეოთხესს,
თქვენ მიიღებთ შემოკლებით,
ვინც ჩვენში ბრძანებლობს დღეს.

ირემი.

### ახალი რადიო სადგური.

ტფილისში დაარსდა აბანოების რაიონში დედამიწის ზურგზე უძლიერესი რადიო. რადიოს სახელის პროექტი საგანგებო ექსპერტიზას აქვს მინდობილი, რომელიც „სატირიკონ“-ის მორიგ ნომერში იქნება გამოცხადებული.

რადიო უკვე მოქმედობს და განსაცვიფრებელ ძალას იჩენს. აბანოს წყლების 90° ძალა დიდ ეფექტს იძლევა. რადიოს ჰყავს საგანგებო კორესპონდენტები მსოფლიოს ყოველ სახელმწიფოში, მისთვის ღიაა კარები ყველა სრა-სასახლეთა, იმპერატორთა, კათალიკოსთა თუ სოვეტისტთა.

„სატირიკონმა“ გადასწყვიტა ამ რადიოს კორესპონდენტებს მისცეს ჯილდოდ სრულიად მუქთად 4 სპილენძის ქვაბი, ქალაქის ისპოლკომის დეკრეტით № 4 შედგენილი ოთახების ფონდი და აგრეთვე ის ბაჯაღლო ოქრო, რომელსაც საქართველოს სატახტო ქალაქის სახლის ყველა მეპატრონე იღებს სახლის ქირად. რედაქციისავე თხოვნით სოვნარკომმა დაადგინა რადიოს თანამშრომლებს მისცენ ალ. ერქომაიშვილის მთელი ნატურნალოგი.

კორესპონდენტები ამით მაინც არ დაკმაყოფილდნენ და კატეგორიულად მოითხოვეს, რომ რომელიმე ისპოლკომმა ისინი შვილობილად მიიღონ მხოლოდ იმ პირობით, თუ მამია ორახელაშვილის წინადადება განხორციელდება და ყოველკვირეულად იუწყება ქვეყანას, თუ შვილებს რა ჯილდო მიეცა, ან შვილებიდან მამებმა რა მიიღეს.

ეს წინადადება „სოვნარკომმა“ იურისტკონსულებს გადასცა გრიდსკის თავმჯდომარეობით, საქმე ძლიერ შეფერხებულია და, ლამის არის, რადგანაც დაიჩვრეს უმთავრესად იმ მიზეზით, რომ კორესპონდენტების წინადადებაზე სათანადო ღერბის მარკა არ ყოფილა დაკრული და ამ სახით იუსტიცია ძლიერ ცუდ გუნებაზე დამდგარა, რაიც ძალიან ამცირებს იუსტკომის შემოსავალს.

ამით აიხსნება, რომ ჯერ-ჯერობით რადიო მეტად სუსტად იძლევა ცნობებს.

### ხანტა-მარგარიტა.

კვირა, მაისი, აბანო, ტემპერატურა 80°. ბუდუ მდივანმა ესეც არის მიიღო სადარბაზოდ სისიკო მდივ ნი. ხონელებმა აღძრეს შუამდგომლობა ჩიჩერინის წინაშე, რომ მიიღონ სისიკოს წ ნადადება. სისიკო მდივანმა მოითხოვა რუსის ჯარის საქართველოში დარჩენა, თუ ეგვ. გეგეჭკორი იქნება დანიშნული საქ. საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრად. ფიქრობენ, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები შეთანხმდებიან.

### ნ ა უ ე ნ ი.

კვირა, იალონი, ტემპერატურა 90°. ბენია ჩხიკვიშვილმა კატეგორიულად მოსთხოვა ლოიდ ჯორჯს ყოველგვარ მეგობრულ კავშირს გაწყვეტა მასთან, თუ საქართველოში არ იქმნა დაბრუნებული. ამის გამო ლოიდ ჯორჯმა დასტოვა გენუა და თემთა პალატაში დასვამს ამ საკითხს.

### ბ ო რ დ ო.

კვირა, შაბათ უქმიძალს მიღებული, ტემპერატურა 95°. გენუას კონფერენციამ დაადგინა პლენუმის სხდომაზე: დაბეჭდოს ინგლისის ხარჯზე მილიარდი ოქროს ფული. ერთ ყურში ჟორდანიის სურათი მოათავსოს, მეორეში ჭმ. გიორგი. ფული უკვე გამოიგზავნა ფ. მახარაძის სახელზე, რომელმაც უკვე დაურიგა დამშეულებს. ამის გამო სიმშილი საქართველოში მოისპო.

### შემთხვევითი რადიო.

არავის, არავის, არავის; არსაიდან და არსაიდან 2 მაისს რუსის ჯარი გადიოდა, მაგრამ უკან გაბრუნდა. 1 მაისს საქ. მთავრობა ავტომობილში იჯდა, მაგრამ ამ დღესვე ჩამოვიდა ავტომობილიდან, მატარებლები მოდიან და მოდიან, სანდრო თუმანოვს, რომ „იზვესტიის“ № 85 არ დაემალა, საქართველოში მენშევიკური მთავრობა აღსდგებოდა, გენუას კონფერენცია დაიშალა და ჩხენკელიც კონფერენციის წევრად აირჩიეს.

მოვიდა ჩიჩერინის ნოტა ლენინისადმი: თუ საქართველოდან ჯარს არ გაიყვანთ გადავდივარ ბარტუს მხარეზეო.

ევროპაში შემოიღეს ძველი სტილი. ამიტომ ბოლშევიკებმა ჯარი უნდა გაიყვანონ საქართველოდან 2 მაისს, მაგრამ ძველი სტილით.

### ფოსტის ყუთი.

დიდი ქალაქი. მენშუკა ჩხენკელს. გავიგეთ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით სავსებით უზრუნველყოფილი ხართ მატერიალურად, მაგრამ თქვენი „საჭირო განმარტება“ ის [illegible] დიდი და ვრცელი, რომ მიზანს აღემატება. აქაც საჭიროა დაიცვა ახალი ეკონომპოლიტიკა და ამიტომ მოგვაწოდეთ სხვა რამე.

რედაქტორი ავენა წკაპურტაძე.

---

# ახალი ამბები

— ახალი პარტია ხითეხ ხამინდისა. სამიწად-მოქმედო სახალხო კომისარიატის მიერ როსტოვში მივლენილია ორი მიმლები 180,000 ფუთი სათესი სიმინდის მასალებათ, რომელიც ჩამოტანილია ამერიკიდან საქართველოს საჭიროებისათვის

— ხოციალ უზრუნველყოფის კომისარიატის გაუქმება საპენსიო განყოფილება სახალხო სოც. უზრ. ყოფის კომისარიატისა გადავიდა ხმბ ლხო შრომის კოსისარიატის გამგებლობაში და შეერთებულია დამხლევე კასასთან, როგორც სახელმწიფო დახმარების ქვე-განყოფილება ღარიბეს მცხოვრებლებისადმი. წითელ არმიელების ცოლ შვილის უზრუნველ ყოფა გადადის სამხედრო-საზღვაო სახალხო კომისარიატის გამგებლობაში და საინვალიდო სახლები სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ხელში.

— ხალამო დამშეულთათვის. კომუნალური მეურნეობის სანიტარულ-მშენებელ—ტეხნიკურ განყოფილება აწყობს 6 მაისს თავის კლუბში 26 კომუნარი სახელობისა (მადათოვის კუნძ.) გრანდიოზული სადამოს საქართველოს დამშეულთ თვის. გარდა წარმოდგენებისა გამართული იქნება დიდი საკონცერტო განყოფილება, ამერიკული აუქციონი და სხ

— გრანდიოზული ხალამო საქ. დამშეულთა სასარგებლოთ. საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი მართავს კვირას და ორშაბათს 7—8 მაისს სახალხო ბაღში სეირნობას საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ დილით მოწყობილი იქნება სეირნობა ბავშვებისთვის, საბავშო სათამაშოებით ი. მ. სუნდუკიანცის და სხვა გამოცდილ ხელმძღვანელთა მეთაურობით. სალამოს მ. მ, მორდკინის ხელმძღვანელობით შესდგება ბალეტი. საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. დაუკრავს მესაყვირეთა გუნდი მიხაილიდის ხელმძღვანელობით. გამართული იქნება ლოტარეა—ალეგრა და სხვა გასართობები. არც ფულის შეგროვება და არც აუქციონი სეირნობაზე არ იქნება დაშვებული. სადამოს ხელმძღვანელობენ ნ. პ. მახარაძე, აწ. ორჯონიკიძე და მ. ო. სვანიძე.

— მიტოვებული ბავშვები. 3 მაისს ქალაქის მილიციის უფროსის სამართველოში უცნობმა სომხის ქალმა მოიყვანა ორი ბავშვი, ქალი და ვაჟი, 3—4 წლისა და თვითონ კი გაიპარა. ბავშვები სომხები არიან.

— **ულარიბეს მცხოვრებთა დახმარება.** შრომის სახალხო კომისარიატში ამუშავებს პროექტს ახალი ლებულობისას შესახებ ულარიბეს მცხოვრებლებისა, რომელსაც უნდა შეიცავდეს ახსნილი დროებითი წესდება შესახებ შრომას უნარ მოკლებულთ სოციალური უზრუნველ ყოფისა.

— **ღამის გასათევი სახლები.** ულარიბეს მცხოვრებთა დახმარების ქვეგანყოფილებამ შეუდგა პროექტის შემუშავებას, რათა მოწყობილი იქმნას ულარიბეს მცხოვრებთათვის ღამის გასათევი ბინა, რომლის უქონლობა უსახლკარო ლატაკთათვის ერთობ საგრძნობელია

## ბიბლიოგრაფია

**„ქურა" № 1.**

(დასასრული)

ჟურნალის მხატვრულ ნაწილში წარმოდგენილია თითქმის სულ ახალი ძალები. მათ შორის აღსანიშნავია ზოგიერთები.

სუსტია სანდრო ეულის ლექსი „სამჭედლოში". ისეთი რითმა, როგორიცაა **სიმღერის—იმღერის**, ლექსიკონის სიღარიბეს მიეწერება. არ ვარგა აგრეთვე გამოთქმა „**ხითხითებს** ქურაში ცეცხლი იმედებად". ჩვენ გვინდა, რომ გუზგუზებდეს. ეს უეჭველი მარცხია პოეტის. მისგან მეტს მოველოდით.

იონა ვაკელის „ცეცხლის რკალში" ცდაა ისტორიული კარტეხილის ასახვისა, მაგრამ მიზანი ვერაა მიღწეული სავსებით. ჰგრძნობ, რომ ავტორი ვერ ერევა თემას. მაგრამ არა უშავს რა ზოგიერთ ადგილებს:

„ქვეყნად ღმერთების დაგებულ
მახეს
დღეს აყირავებს შმაგი ზღვის
ღელვა".

გულმოსულ მსოფლიოს „უმძიმს დანახვა ახალ მეტოქის".

კარგია IV თავის დასაწყისი:

„ცეცხლის სურვილმა ზღვა გადასცურა,
ელვის რაშებით მიუხტა ღმერთებს,
განახლებული ფრთები დასწურა
და გაქანებულ ვარსკვლავს გვაერთებს...
აუმეტყველდა ქვას მუნჯი ენა;
რკინა-ფოლადმაც იწყო ალერსი;
ამღერდა ცეცხლში კაცის მძლე რწმენა
და გრძნობა ცეცხლზედ უმხურვალესი".

კარგია პეტრე სამსონიძის „ცეცხლის ხმები". ეს ლექსი საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს მთელ კრებულში თავისი მუსიკალობით და რითმების სიმდიდრით.

ოქტომბრის ღამეს მეხი გავარდა
და ბარიკადა ცეცხლის ეკრანზე—
მთელს ქვეყანაზე გაგარიბალდა
და დაიღვარა სისხლი ეკლ-ნარზე...

აქ რითმებია არა მარტო სტრიქონების ბოლოზედ, შუა სტრიქონებშიაც. ყოველ ტაეპში ექვსი რითმა მაინცაა, რაც კარგი მიღწევაა ლექსის ტეხნიკაში.

უტყუარი ნიჭია ალ. ჩხეიძეც. უნაკლო იქნებოდა მისი პირველი უსათაურო ლექსი, რომ შთაბეჭდილებას არ ახდენდეს „ტრონი" რითმისათვის ნახმარი „ტახტის" მაგიერ.

,,ჩვენ ძველ სამყაროს გადუსვით
ხაზი
წითელი ფერით'' და
,,მეორედ მოსვლა ჩვენით დაიწყო''.

ახალი გამოთქმებია. მეორე ლექსი კი ,,ქარხნის სურათი'' სუსტი ესკიზია და არა სურათი. საზოგადოთ კრებულში ბევრია გაუმართლებელი სათაურები.

გუცევიჩიდან ნათარგმნი ,,ქარხნის ხმაური'' კარგი აგიტაციაა ბრძოლისა და აღმშენებლობის. „შენ დანგრევა დაასრულე, ეხლა უნდა ააშენო! მოუწოდებს ავტორი.

კარგია ვ. ალექსანდროვსკის ,,დედა''. აქ არის განაწამები სამშობლოს ნუგეში, როგორიც შეიძლება მისცეს მებრძოლმა.

,,ხომ არ გგონია ვარ გარეწარი? ხომ არ ჰფიქრობ, რომ არ მიმძიმს ღამით ყვავილებზე სისხლის დაფრქვევა აკანკალებული ხელებით?

მეც შენსავით მწყურია ალერსი და სინაზე...

ჩემი თვალები ეძებენ გაზაფხულის ღიმილს, სიხარულს და მზეს, უნაპირო სივრცეს...

დედავ! ყველა ტანჯვაზედ და ყველა წამებაზედ უფრო საშინელია ჩემთვის შენი ტკივილი''.

,,როცა შენი გული დაჭრილ ფრინველივით ფრთხიალებს სისხლში, იცოდე, რომ მეც, ანთებულ ბარიკადების და ბრძოლის პოეტი, ყველაზე მეტად ვიტანჯები...

ვიტანჯები! მაგრამ კვალად და კვალად, გულის ტკივილით, ტუჩ გაკვნეტილი, ვმღერი და ვყვირი: ბრძოლა! წინ!

...ასე უნდა. ასე გვიწერია...''

ყველა ავტორებს ვერ შევეხებით მოკლე წერილში. ჩვენ აღვნიშნეთ, ასე ვსთქვათ, რაც თვალში მოგვხვდა ჟურნალის კითხვის დროს. ცხადია ბევრი ნაკლი და ღირსება დაგვრჩა აღუნუსხავი, მაგრამ ამისი დროც მოვა და ვინმე შეასრულებს ჩემზე უკეთ.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ჟურნალი დიდ იმედებს იძლევა. რა თქმა უნდა, პროლეტარული პოეტები ვერ გაუძლებენ უკვე სახელიან პოეტებთან შედარებას, მაგრამ ასეთი მეთოდით მათი დაფასება, აბა ვის მოუვა თავში? პოეტური ნიჭის და შემოქმედებითი უნარის განვითარებას დრო უნდა და უკვე ეს პირველი ნაბიჯი საკმაო საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახალი ჯგუფი იმედებს გაამართლებს და ქართულ პოეზიას გაამდიდრებს ახალი შინაარსით და ფორმით, თუმცა უკანასკნელი ჯერ ძრიელ მოიკოჭლებს. ქართული ლექსის ტეხნიკა იმდენად განვითარებულია დღეს, რომ პროლეტარულ პოეტებს ბევრი მეცადინეობა და შრომა დასჭირდებათ მის დასაძლევად. მაგრამ ეს მუყაითობისა და ბეჯითობის საქმეა.

გარეგნულად ჟურნალი ვერ აკმაყოფილებს ესთეტიურ მოთხოვნილებას. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პუნქტუაციას.

**დილეტანტი.**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დებულება

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენელთა შესახებ.

**1921** წლის აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 №-ით გამოცემულ დეკრეტის 26 და 27 მუხლის გასაუქმებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

**1.** უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან ჩაითვლება ის პირი, რომელსაც თავისი მთავრობის სახელით მიცემული ექნება სათანადო რწმუნების გრამოტა, საგარეო—პოლიტიკური და დიპლომატიური ფუნქციების შესასრულებლად და რომელიც ამ მიზნით იქნება მოსული საქართველოს ტერიტორიაზე—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისა და უცხო სახელმწიფოს მთავრობის შორის ჯეროვანი ურთიერთი მიმართვის შემდეგ.

**2.** საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ დიპლომატიურ კორპუსის შედგენილობაში, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის გარდა, შევლენ ის პირნი, რომელთა შესახებ მოხდება შეთანხმება სათანადო დიპლომატიური წარმომადგენლობისა და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის შორის,

**3.** დიპლომატიურ წარმომადგენელს და დიპლომატიური კორპუსის წევრს აქვს შემდეგი უფლება და უპირატესობა:

ა) პირადი შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება ხსენებულ პირთა შეპყრობა არც ადმინისტრატიული, არც სასამართლოს წესით;

ბ) კერძო ბინისა და სასამსახურო კანცელარიის შეუვალობის უფლება, რის ძალითაც არ შეიძლება აღნიშნულ სადგომის გაჩხრეკა, დათვალიერება და დაბეჭდვა, თუ ამის თანახმა არ არის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომლისგანაც საჭირო შემთხვევაში ეს თანხმობა გამოთხოვილ უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით;

გ) უფლება, რომლის ძალითაც იგი არ ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებას არც სისხლის სამართლისა და არც სამოქალაქო საქმეებში, რის გამოც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო საწარმოებლად არ მიიღებს მის წინააღმდეგ აღძრულ საჩივარსა და სარჩელს, არამედ გადასცემს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალება—ყოველგვარი ღონისძიების მიღება დიპლომატიური გზით დაზარალებულის დასაკმაყოფილებლად.

დ) განთავისუფლება ზოგად სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი, პირადი, ნატურალური და ფულადი ბეგრისგან.

**შენიშვნა:** ამ მუხლში აღნიშნული უფლება ვრცელდება აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლისა და დიპლომატიური კორპუსის წევრის ცოლსა და შვილზე, რომელსაც არ შესრულებია 16 წელი.

4. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს, მე-3 მუხლში აღნიშნულ უფლებათა გარდა, ეკუთვნის:

ა) უფლება დაუბრკოლებელი მიმართვისა თავის მთავრობისადმი და სხვა სახელმწიფოში მყოფ მის დიპლომატიურ წარმომადგენლობისადმი ღია და შიფრიანი დეპეშების გაგზავნით და აგრეთვე დიპლომატიური შიკრიკების მეშვეობით;

ბ) უფლება კერძო და სასამსახურო სადგომზე, აგრეთვე მიმოსვლისათვის მის მიერ ხმარებულ საშვილებელზე თავისი ქვეყნის დროშის აღმართვისა.

5. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს შეუძლიან მე-3 და 4 მუხლში ჩამოთვლილი უფლებანი გაავრცელოს იმ უცხოელებზედაც, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკაში მოვლენ განსაკუთრებული პოლიტიკური მისიის განსახორციელებლად, აგრეთვე იმათზედაც, ვინც უცხო სახელმწიფოთა დადებულ განსაკუთრებულ შეთანხმების ძალით უნდა შეასრულოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დიპლომატიური ფუნქციები, თუნდაც ოფიციალური დიპლომატიური წოდებაც არ ჰქონდეს. ამ შემთხვევისათვის აღნიშნულ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა უნდა მისცეს სათანადო მოწმობა.

6. იმ შემთხვევაში, უკეთუ დიპლომატიური წარმომადგენელი, ან თითონ მარტო, ან მისიის მთელ შედგენილობასთან ერთად, დააპირებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკიდანაც წასვლას, იგი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს გადასცემს თავის გაწვევის გრამოტას და მიიღებს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან პასპორტს საზღვარგარეთ წასასვლელად, ამასთანავე რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლამდე, როგორც თითონ იგი, ისე მე-2 მუხლში დასახელებული მისი თანამხლებელნი, სარგებლობენ ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნულ ყველა უფლებით.

7. დებულება ესე ძალაში შედის **დღიდან** მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **სვანიძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წელ. აპრილის 29.

ტფილისი—სასახლე.

## ქართველი ერის ოჯახის დაქცევის დასაწყისი და რუსის სამხედრო გენერალ გუბერნატორი კნორინგი

(დასასრული)

ეს სიტყვა მთარგმნელმა გადასცა კნორინგს და ამ სიტყვის შემდეგ, კნორინგი ყველას გამოემშვიდობა და წავიდა, თან გაჰყვა მინისტრი კოვალენსკი და მთარგმნელი. ისინი კარში რომ გავიდნენ, მაშინ კნორინგმა კოვალენსკის საუბარი დაუწყო და ასეთი სიტყვები უთხრა:

პეტრე ივანეძევ, ნახეთ რა აზნაურები, საქართველოში რუსის სახელმწიფო აქ ფეხს ვერ გაიმაგრებს, რადგანაც მას აქ ყოველთვის მოწინააღმდეგით ეყოლება ქართველი თავად-აზნაურობა. ამ წოდებას აქ დიდი ხმა და ძალა აქვსთ, თითო მებატონეს თითო სადგურ-ციხე მამული აქვს, ზედ გლეხები უსახლიათ და მათ ისეთი ერთობაც აქვსთ, რომ სადილსაც კი ერთად სჭამენ.

თავად-აზნაურმა რომ რუსეთის რამე სიხარული და ჩვენმა მთავრობამ მათ ეს თხოვნა არ შეუსრულოს, მაშინ იგინი აჯანყდებიან და ერთ დღეს თავიანთ გლეხებსაც მიიმხრობენ და რუსთა შთ ვ რაიონის საქმეებსაც აქ უსათუოდ დაამხობენ

პეტრე ივანესძე კოვალენსკიმ რაიც პასუხი მისცა, ეს პასუხი ჩვენთვის უცნობია, ამის საპასუხოთ კნორინგმა ასეთი სიტყვით მიმართა კიდევ კოვალენსკის, რასაც მოწმობდა მთარგმნელი ქანანოვი.

პეტრე ივანესძევ! გაგიმეორებთ, რომ თუ ამ ხალხში, ეს მათი ცხოვრების წესები არ დაირღვა და იგინი რუსეთის მთავრობამ ერთმანეთს არ შეაძლო, უამისოთ აქ რუსული ფეხს ვერ გაიმაგრებს. აქ რუსეთის ძალა არ დამყარდება. ეს ამაც ლამბლავ უნდა მოხდეს.

ასეთის ლაპარაკით მივიდნენ ისინი თავიანთ ბინისკენ და ერთმანეთსაც გამოემშვიდობნენ.

ამის შემდეგ კნორინგი უფრო უკეთესათ გაეცნა ქართველი ერის ცხოვრებას, ქართველი ერის ცხოვრებაში მან ბევრი რამ ცნობები შეკრიბა და შეისწავლა და შემდეგ ამ შესწავლის და ცნობის, დაიწყო წერილების წერა და მათი გზავნა რუსეთში, ახლად გამეფებულის ალექსანდრე პირველის იმპერატორის წინაშე. როგორც ირკვევა საქმე და ჩვენც ვფიქრობთ, კნორინგის ნაწერი წერილები ნებას გვაძლევს ვსთქვათ შემდეგი დასკვნა კნორინგის მოღვაწეობის შესახებ.

კნორინგმა ალექსანდრე იმპერატორზედ დიდი ზეგავლენა მოახდინა, ცოტა არ იყოს, ალექსანდრე ამაზედ შეშინდა კიდეც. ალექსანდრე სვავს ისე ერთ დიდი გზა-კვალი, რომ ერთი წლის მოსული არც-კი იყო კნორინგი საქართველოში, რომ ალექსანდრემ კნორინგი რუსეთში მიიხმო, ეს მალე წავიდა კიდეც.

ამის წასვლა რუსეთში საიდუმლოთ მოხდა და მაინც მთლად ამის მიწერ-მოწერა ალექსანდრე პირველთანაც საიდუმლოთ სწარმოებდა. ამიტომაც ისიც ალექსანდრეს წინაშე საიდუმლოთ წარმოსდგა, ისეთა სხვაგი ნახა, ალექსანდრეს ესე მეგნა მოხერხებული სხვადის ნახვა, ამას ბევრი ელაპარაკა და მასთან დაავალა ისიც, რომ ეხლა თქვენ შეადგინეთ გეგმა მისი, თუ რუსეთის მთავრობამ როგორ მოაწყოს და მოაწესრიგოს საქართველოში ქართველთა ცხოვრების პირობები, რომ მის შემდეგ ჩვენ იქ შიში აღარ გვქონდესო

კნორინგმაც ალექსანდრე სვავის დავალება სიამოვნებით შეისმინა, დაჰპირდა პროექტის შედგენა და მის წინაში წარმოდგენა და ესეც მალე მოახერხა, მოკლე დროის განმავლობაში სვავი წარუდგა ალექსანდრე სვავს და წარუდგინა თავისი გეგმა ქართველი ერის ცხოვრების პირობების შეცვლის შესახებ და მასთან უჩვენა ის კაციც, თუ ამ პიროვნებას ვინ უფრო უკეთ შეასრულებსო.

კნორინგმა ალექსანდრე სვავს დაასახელა ერთი ქართველი გენერალი, პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი, [illegible] პეტერბურგში [illegible] ირიცხებოდა სამსახურში [illegible] გენერალ მაიორათ, პავლე იმპერატორის მეფობის დროს გასულა სამსახურიდამ შესაფერის ჯილდოთი.

კნორინგმა ალექსანდრე სვავს ეს პავლე ციციშვილი დაუსახელა საქართველოში გამოსაგზავნათ. ამის შემდეგ კნორინგმა აიღო იმპერატორისაგან ლოცვა-კურთხევა და ისევ მალე გამოქანდა საქართველოში, ამის მოსვლამდის საქართველოს საქმეებს განაგებდა კოვალენსკი.

კნორინგი მალე ჩამოვიდა ტფილისში ისე, რომ 1809 წლის პირველ იანვარს იგი უკვე ტფილისში გახლდათ, ეს მისი მგზავრობა კოვალენსკის მეტმა სხვამ არავინ იცოდა. კნორინგი საქართველოში მიეცა ცხოვრებას და მოქმედებას და ალექსანდრე სვავი კიდევ პეტერბურგში ამზადებდა კნორინგის გეგმით საქართველოს სამარის გათხრას.

გადავიდეთ ისევ ალექსანდრე პირველზედ და იმ სამზადისზედ, რაც კი პეტერბურგში მზადდებოდა და იწყოდა ქართველი ერის დასაღუპად და დასამარებლად. ეს ისეთი პიროვნება და ისეთი ისტორიული ხანაა ქართველი ერის ცხოვრებაში, რაც ღირსია დაწვრილებით აღიწეროს, მაგრამ საიდამ და როგორ და რა გზით, როცა ყოველივე ქართველი ერის დაღუპვის საქმეების მოწყობა და მოწესრიგება რუსეთში და საქართველოში ხდებოდა ისე საიდუმლოთ, რომ მისი ცნობები არავინ რა იცოდა.

ალექსანდრე იმპერატორმა კნორინგის გეგმის თანახმათ, მან მალე მოაძებნინა პავლე ციციშვილი და მიიხმო თავისთან სასახლეში პავლეც იწვია. ალექსანდრემ მისცლის უმალვე პავლე ციციშვილს, ისიც სამსახურიდამ გასულ გენერალ-მაიორს უბოძა გენერალ-ლეიტენანტობა მიუბოძა და ამით ციციშვილი გაკვირვებული სახეთ დაშთა. ამის შემდეგ ალექსანდრემ აუწყა ციციშვილს თავისი დავალება ასე:

პავლე დიმიტრიჩ, თქვენ, როგორც ქართველ თავადისშვილს, ჩვენ უნდა მოგანდოთ, ჩვენ მიერ დაკავშირებულ საქართველოს მართვა-გამგეობის მთავარ მართებლის თანამდებობა, იმედია, რომ თქვენი ბრწყინვალება ჩვენს დავალებას სიამოვნებით იკისრებს და მასთან ჩვენის ერთგულებითაც იმოქმედებს საქართველოში, რომ ჩვენმა ჯარმა იქ ფეხი გაიმაგროს.

პავლე ციციშვილს ორი სიხარული ერთად ეწვია, ჯერით გენერალ ლეიტენანტობა საქართველოს მოწყალებით და მის მერე საქართველოს მართვა-გამგეობით მთავარ მართებლობა, რაც ეს ორი ბედი ერება მას ღმერთმა ერთის ხელით მიუბოძა. ასეთი მოწყალებისათვის გარუსებულმა ქართველმა თავის მფარველის ალექსანდრე პირველის დიდი მადლობა გადასცა და თან აუწყა შემდეგი.

თქვენო იმპერატორებითი უდიდებულესობავ, თქვენ მიმიღეთ მე თქვენს ურთგულეს ქვეშევრდომათ, მიბრძანეთ რაც გნებავთ და როგორც თქვენ გსურვილებათ, მეც ისე ვიმოქმედებ იქ თქვენის ბრძანებებით.

ამის შემდეგ, მოხდა ის, რომ 1809 წლის დამლევს პავლე ციციშვილი იქმნა დანიშნული საქართველოში კნორინგის მაგიერ, მაგრამ როგორც კნორინგის მსგავსათ სამხედრო გუბერნატორათ კი არა, არამედ თვით კნორინგის წინადადების თანხმით საქართველოს მთავარმართებლათ დანიშნული.

ციციშვილი როგორც გარუსებული ქართველი და მასთან დაუძინებელი მტერი ქართველის ერისა და ცხოვრებისა, ისეთი პიროვნება გახლდათ იგი, რაზედაც ლაპარაკი მასზედ ჩვენთვის არ იქნება მეტი.

ეს ცხოველი რომ დიდი მტერი იყო საქართველოს სამეფო და ქართველის ერისა, ესა მტკიცდება იქიდამაც, რომ მან იკისრა ალექსანდრე პირველის დავალება და მასთანვე საქართველოში, ქართველი ერის წინაშე, თვით ქართველი ერის დასაღუპათ, იმ გეგმის თანახმათ მოქმედება, რომელი გეგმაც შედგენილი და შემუშავებული იყო კნორინგისაგან.

ასეთის გეგმით საქართველოს მართვა გამგეობას არც ერთი პატიოსანი კაცი იკადრებდა და მით უფრო ქართველი თავადის შვილი. ამიტომაც ამ ჩვენს გარუსებულ მტერ მოყვარეს მკითხველს შემდეგ გავაცნობთ.

**ზაქ. ჭიჭინაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი